სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/14

ქ. თბილისი

5 მაისი 2020

სტუ-ის სარგებლობაში არსებული ფართობის იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. კ. კოპალიანის 2020 წლის 5 მაისის №00362093 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 5 მაისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას კანონით დადგენილი წესით, პირბადეების წარმოების მიზნით, 3 წლის ვადით, იჯარით გასცეს ფართობები: საკადასტრო კოდი: 01.17.09.064.060, №12 შენობის პირველ სართულზე 425 კვ.მ. და 17/1 შენობაში 150 კვ.მ. (მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 36, ნაკვ. 64/060);
2. ზემოაღნიშნული ცვლილებების გამო გაუქმებულად ჩაითვალოს სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 24 აპრილის დადგენილება №01-06-02/13;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**